ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7483628

ნომერი: AR11090574

თარიღი : 09.05.2025

გაცემის თარიღი : 19.05.2025

გაცნობის თარიღი : 19.05.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა N 22, კორპუსი 1, კორპუსი 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გივი გოგრიჭიანი პ/ნ 60003000511
- ქ.თბილისი. თ.ერისთავის #3/90

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 9 მაისის №AR11090574 განცხადებით მომართა გივი გოგრიჭიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 6 მარტის №6352650 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 6 მარტის №6352650 ბრძანებით, №01.12.12.024.195 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი 4, შენობა №3) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებლის მიერ განმარტებულია, რომ სამსახურის 2023 წლის 6 მარტის №6352650 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ კიბის უჯრედში „ბ-გ“ ღერძებში არ არის ნაჩვენები მონოლითურ კედელი, ასევე საჰაერო შახტებს მონაცვლებული აქვს ადგილი, შეცვლილია გადახურვის მასალა და სხვ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომების გასწორებას და შეთანხმებული გეგმების ჩანაცვლებას წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილით.
სამსახურმა შეთანხმებული და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ 2023 წლის 6 მარტის №AR1940225 განცხადებით მოთხოვნილ იქნა, №01.12.12.024.195 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი 4, შენობა №3) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი საპროექტო/სანებართვო დოკუმენტაცია, მათ შორის საპროექტო ობიექტის გეგმა-ნახაზები. სამსახურის 2023 წლის 6 მარტის №6352650 ბრძანებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის გეგმა-ნახაზების საფუძველზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. რაც შეეხება, წარმოდგენილ გეგმა-ნახაზებს, აღნიშნული შეუსაბამოა შეთანხმებულთან, შესაბამისად, უკვე შეთანხმებული გეგმების ცვლილება არ წარმოადგენს ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს, აღნიშნული საჭიროებს პროექტის ცვლილებას (კორექტირებას).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2023 წლის 6 მარტის №6352650 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.